საქართ. შემარცხენე სოც-დემოკრატიტა პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 100,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 500,000 უკანასკნელზე 300,000 მ. განცხადება 10.000 მ. ნოპარელის სტრიქონი. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნავა შეიძლება 10—12 ს. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტისყუთი № 189, ტელეფონი 10—34.

№ 165.

შაბათი, დეკემბრის 9 1922

ტფილ. ფასი 50ს ამან. — პროვინს. 5000 ამან.

№ 165 ეროვნული ბიბლიოთეკა

● რუსთაველის თეატრი ●

სახელმწიფო აკადემიური დრამა

შაბათს 9 დეკემბერს

ცხვრის წყარო

დადგმა კ. მარჯანიშვილის

№ 165.

დასაწყისი სრულ 8 საათზე

3—3

ქალ. ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის საგმართველოს განუცხადებია ამით აცხადებს,

რომ ტფილისის ქალაქის ბ. ბ. მოლაქების თანამშრომელ თანამდ

საჭიროა ფრიად სასწრაფოდ დამზადდეს:

700 ცალი ნაბდის ჭერქები, აგრეთვე 700 წყვილი ბოტინკები.

ვისაც შეუძლია 700 ცალი ჭერქისათვის საჭირო რაოდენობის ქარგი ხარისხის ნაბდისა და 700 წყვილი ფეხსაცმლის მოწოდება, ესთანავ გამოცხადდეს საგმართველოს განყოფილებაში, ლ. დუმბაძის ქ., ყოფ. ალექსანდროვის, № 7, და თან წარმოადგინოს შესაფერი ნიმუშები ნაბდისა და მოტინკებისა.

3—1 208 ტფ. აღმასკომის საგმართველოს განყოფილება.

ევროპის რეაქცია

პროლეტარიატის საშიშარი, თანამედროვე ევროპა, რეაქციის საშობელიც იქცა. ინგლისია ამ რეაქციის უმთავრესი ყაზარჯენი. ფაშიზმი და ორგანიზმი ამ რეაქციის ფიგურალური გამოხატულებაა.

მურეფაია უკვე დაშორდა პარლამენტარული ბრძოლის გზას და დიქტატურის საშუალებით სცდილობს ძალაუფლების შენარჩუნების. იტალიელთის პარლამენტი მუსოლინს ანიჭებს განუსაზღვრელ უფლებებს. გერმანიეთში სტინნესის პარტიის დიქტატურის სუნი სდგას, შიუბედავად ამ პარტიის მცირე რაოდენობისა რეიხსტაგში, ინგლისში კონსერვატიულ პარტიის დიქტატურაა ფაქტურად, თუმცა „ოპოზიციამ“ მიიღო ხმის უმრავლესობა საპარლამენტო არჩევნებში.

ყოველივე ეს ილუსტრაციაა იმ დებულების, რომ ბურჟუაზიამ უკვე დატოვა ძველი მეთოდები ბრძოლისა და თავი გაანება პარლამენტარულ ფეხბურთს წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტებთან. დიქტატორული გზით ცდილობს ევროპის რეაქცია გამაგრებას და მუშათა კლასზედ თავდასხმით, ექსპლოატაციის უკიდურესად განვითარებით ლამობს დაშლილ ნაციონალურ მრეწველობის აღდგენას.

როგორც ვხედავთ ბურჟუაზიამ შესძლო არსებობის შენარჩუნება დღემდე და დღეს შეტევაზედ გადმოდის. იგი იძულებული ხდება სამუშაო დღის გადიდებისა და ხელფასის შემცირების პროექტი ტვრორით განახორციელოს, რადგან სხვა გამოსავალი ევროპის ეკონომიკისათვის არ არსებობს. ევროპა ერთი მხრით ოკეანეს ვალმა ქვეყნების მძლავრ კონკურენციას განიცდის, ხოლო მეორე მხრით საბჭოთა რესპუბლიკების იზოლაციას მწავე შედეგების წინაშე სდგას.

კოლონიალური პოლიტიკით ადარ შეუძლია იმპერიალისტურ ბურჟუაზიას განადგურებულ მეურნეობის აღორძინება და ისევ ევროპის კონტინენტის მუშათა კლასის უკიდურეს ექსპლოატაციას მიმართავს.

ბევრი გულუბრყვილისათვის ევროპის რეაქციის ფაქტი რევოლიუციის შესაძლებლობას წერტილს უსვამს. საკითხის ასეთი გადაწყვეტა რა თქმა უნდა ზერეულ და ნაჩქარევი იქნება. მართალია პოლიტიკურად რეაქცია მეფობს, მაგრამ თვით ეს გადახრა უკიდურეს შემაჯვენებისაკენ კაპიტალიზმის რენესანსის შედეგი კი არ არის, არამედ მის ლრეკვის პროცესის პირველი შეილია.

კაპიტალიზმის ლრეკვის პროცესი იწვევს ხანგრძლივ პოლიტიკურ კრიზისებს და თუ დღეს ჩვენს წინაშეა მუსოლინის კაბინეტი, შესაძლებელია ხვალ ამავე კრიზისებმა ბომბაჩის სიბეჭედი მოიკვეცეს.

ალსანიშნავია ის ფაქტი, რომ რეაქციის გამარჯვებამ კიდევ არ ქმნის ბურჟუაზიული ფრონტის გამრთელების შესაძლებლობას. ლრმა ანტაგონიზმი კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ფაქტია დღესაც, ისე როგორც ეს იყო გუშინ. მეორე მხრით კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ არ არის გამრთელებული არც მუშათა ფრონტი. ამიტომ არის, რომ რეაქცია—რევოლუცია დღეს ვერ აღწევს ერთი მეორის უარყოფას და ორივე, ერთმანეთის უარმყოფელი ძალა ერთ და იმავე დროს პარალელურად არსებობს. ცხადია მსოფლიო მეშტაბით არ შეიძლება დიდხნობით ამ მდგომარეობის შენარჩუნება. როგორც ალვნიშნეთ რეაქცია შეტევაზედ გადმოდის. მუშათა კლასი ობიექტიურად იძულებული გახდება მთლიანი ფრონტი გაშალოს შემოტევის წინააღმოეგ. მუშათა შორის შესაძლებელია მთლიანი ფრონტით გამოსვლა, მაშინ, როდესაც ბურჟუაზია თვითონ კაპიტალიზმის შინაგანი ძალების გამო ვერ ახერხებს მთლიანი ფრონტით გამოსვლას.

ევროპის კონტინენტზედ შექმნილი მდგომარეობისა და რეაქციის ტვრორისაგან თავის დახწევა შესაძლებელია მუშათა კლასის ძალთა მობილიზაციით ბურჟუაზიის მიმართ მთლიანი ფრონტის შექმნით.

ტერიალური პირობები სახარბიელო არ იყო, მაგრამ რევოლიუციის შემდეგ იგი კიდევ უფრო მეტ გასაჭირში ჩავარდა.

მეფის მთავრობის პოლიტიკა სახალხო განათლების სფეროში ყველასათვის გასაგები იყო და ამიტომ საკვირველიც არ არის, თუ თვით პეტროგრადის დროის სახალხო მასწავლებლის მატერიალური და სულიერი ამაღლების საკითხი არც კი ისმებოდა.

თებერვლის რევოლიუციამ ეს საკითხი „ლიათ“ დასტოვა და მას ნათელი პასუხი ვერ გასცა.

მე მინდა აღვნიშნო სახალხო სკოლის და მასწავლებლობის მდგომარეობა მხოლოდ საქართველოში, რადგან ვინც დაინტერესებული რუსეთის ფედერაციის სახალხო სკოლების და მასწავლებელთა საკითხით, ეურჩევ წაიკითხოს ამხ. ი. იაკოვლევის შესანიშნავი წერილი მოსკოვის „პრავდის № 263 ნომერში.

საქართველოში ყოფილი მთავრობის დროს სახალხო სკოლის საკითხი არსებითად გადაუჭრელი დარჩა. აღზრდის საქმეში შეტანილი იქმნა არამც თუ მატერიალური გაუმჯობესება, არამედ ვერ მოხერხდა მისი იდეური გადახალისებაც. სახალხო მასწავლებელი მაშინაც ისევითვე მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდა, როგორც მეფის მთავრობის დროს.

საქართველოს გასაბჭოებისას სწავლა აღზრდის მეთოდი არსებითად შეიცვალა; ძველი სქოლასტიკურ-დოგმატიკურ პრინციპზე აგებული სკოლა შეიცვალა შრომის პრინციპზე აგებული სკოლით; საბჭოთა საქართველომ მოგაცა სკოლის იდეური გადახალისება, აღზრდის საქმის რაციონალურ და მიზანშეწონილ ნიადაგზე დაყენება, მაგრამ სკოლა კვლავ მატერიალური სიღუხჭირის ჭაობშია ჩაფლული, სახალხო მასწავლებელი კვლავ სიმშილობს და იძულებულია უფრო მეტი მატერიალური პირობების გაუმჯობესებაზე იზრუნოს, ვიდრე მომზადებაზე, განვითარებაზე, გონიერული ალაგ-დიდების შემატებაზე; ამიტომ არის, რომ სახალხო მასწავლებლის კულტურული ფონდ დაიწია; ჩვენ ხშირად ვჩივით სახალხო მასწავლებლის მოუმზადებლობაზე, მაგრამ გვავიწყდება ამ მოვლენის არსებითი მხარეები—მისი მატერიალურ-ეკონომიური საფუძვლები.

ჩვენ განაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ სწორეთ რომ სახალხო მასწავლებლობას, როგორც ნორჩი თაობის აღმზრდელთა კადრს; თუ ჩვენ აღგვზრდის სულით სპეტაკი, გონებით ძალიანი და მშრომელი ხალხის ინტერესების აქტიურად დამცველი ახალი თაობა უნდა უზრუნველყოთ განახლებული სკოლის მესვეურნი—მასწავლებლობა.

ამ წერილში მე არ შევეხები როგორ და რა საშუალებით არის შესაძლებელი მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მხოლოდ განათლების უწყების და უმაღლესი მთავრობის ყურადღება სწორედ ამ მიმართულებით უნდა იქნას მიქცეული.

სამოთა რუსეთში ეს საკითხი პირველ რიგშია დასმული და, თქმა არ უნდა, იგი სათანადოთ მოგვარდა.

საჭიროა ჩვენშიდაც მიექცეს საკითხის აღნიშნულ მხარეს სათანადო ყურადღება და, ეჭვი არ არის, იგი მოგვარდება.

ხ.

ლოზანას კონფერენცია

ბორდო. 7 დეკ. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ლოზანაში ნელ-ვიული მდგომარეობა შესუსტდა.

„ეურნალ დე-დებატ“ სწერს: „ოსმალეთს ეძლევა მოულოდნელი შემთხვევა განამტკიცოს თავისი დამოუკიდებლობა და ხელსაყრელად დაამთავროს ომი. თუ ეს მას სურს, შეიძლება მას დამატებითი გარანტიები მიეცეს სტამბოლის დაცვის უზრუნველყოფის შესახებ, მაგრამ, ამის მეტს ის ვერაფერს ვერ მიიღებს.

რვა დეკემბერში სრუტეების საკითხის განხილველად სამხედრო-ტერიტორიალურ კომისიის მოსალოდნელ სხდომის გამო იმართება კერძო ბასიათის გაცხოველებული თათბირები.

ამ ეამად მთავარი ყურადღება მიქცეული არის კაპიტულიაციის საკითხებზე. ექვს დეკემბერს დღეით გაიმართა ქვეკომისიის სხდომა, რომელსაც მინდობილი აქვს რეჟიმის გამორკვევა, რომელმაც უნდა შესცვალოს კაპიტულიაციის რეჟიმი.

პარიზი. 7 დეკ. გაზეთები იუწყებიან, რომ იტალიას და მოკავშირეთა შორის არსებობს სრული თანხმობა ოსმალეთთან მოლაპარაკების საკითხის შესახებ.

ისმეთ-ფაშა მთელი დღის განმავლობაში იღებდა ნახვენებს. დიდ მნიშვნელობას აკუთვნებენ 8 დეკემბრის სხდომას, რომელზედაც ოსმალები გამოაცხადებენ თავიანთ თვალსაზრისს სრუტეების საკითხში.

— ამერიკის ელჩი თათბირი ქონდა ისმეთ-ფაშასთან. მანამდე ორივენი თათბირობდნენ ბარიერთან.

— ნავთსადგურებში და რკინის გზებზე რეჟიმის დამწესებელ ქვე-კომისიამ მიაღწია შეთანხმებას ოსმალეთთან.

— ამერიკის დელეგაციამ პროტესტი განაცხადა ოსმალეთის განზრახვის წინააღმდეგ სტამბოლში ევროპის მოსახლეობის გაცვლის შესახებ.

ჩაიდლის განცხადება.

ჰანოვერი. 8 დეკ. 6 დეკემბერს ლოზანას კონფერენციის სხდომაზე ამერიკის ელჩმა ჩაილდმა დაახასიათა ამერიკის მოთხოვნილებანი სრუტეების თავისუფლების შესახებ. ჩაილდმი აღნიშნა, რომ ცალკე განაპირა სახელმწიფოებისათვის საშუალების მიცემა სრუტეების თავისუფლებაში შეუზღუდავი ძალაუფლების დაპყრობისათვის იქნებოდა პირდაპირი წინააღმდეგობა არა მარტო შეერთებული შტატების პოლიტიკისა, არამედ განაპირა სახელმწიფოების ინტერესების და თვით მთელი მსოფლიოს კეთილდღეობისათვის.

ამერიკის მთავრობა ყოველ შემთხვევაში არასოდეს არ დაუშვებს, რომ სამხედრო გემებს ადგილი არ ეენეს სავაჭრო ურთიერთობის ინტერესების დასაცავად.

ამერიკის მონაწილეობა.

ჰანოვერი. 8 დეკ. შეკითხვის საპასუხოდ სრუტეების საერთაშორისო კომისიაში ამერიკის მონაწილეობის შესახებ ამერიკის ელჩმა ჩაილდმა განაცხადა, რომ მის მთავრობას ჯერ კიდევ არავითარი გარკვეული გადაწყვეტილება არ მიუღია ამ საკითხის შესახებ.

ბულგარეთი

ირლანდიის სახელმწიფო

ბორდო. 8 დეკ. ინგლისის მეფემ ხელი მოაწერა დეკლარაციაზე, რომელიც თავისუფალ სახელმწიფოდ აღიარებს ირლანდიას სატახტო ქალაქით ლუბლინით. ინგლისის წარმომადგენელი ხელერი, რომელიც დანიშნულია ირლანდიის გენერალ-გუბერნატორად, უკვე შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

რომი. 8 დეკ. ჯე ვალერამ მოათავსა გაზეთში წერილი, რომელშიც მოითხოვს პლებისციტს ირლანდიისათვის მმართველ-გამგეობის ფორმის თავისუფალ არჩევნებისათვის.

ხაბერძნეთში.

რომი. 8 დეკ. ბონარ ლოუმ თემთა პალატაში შეკითხვის საპასუხოდ ინგლისის მთავრობის საბერძნეთის საქმეებში ჩარევის შესახებ განაცხადა, რომ მთავრობა ამ ეამად იხილავს საკითხს ათენიდან სამაგო მისიის გაწვევისა და დიპლომატიურ ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ.

მუსტაფა ქემალის ხსოვნა ათვის.

რომი. 8 დეკ. ანგორაში მოეწყო კომიტეტი მუსტა-ქემალისათვის ძეგლის ასაგებად.

ლონდონის კონფერენცია.

ბორდო. 8 დეკ. პუანკარე, ლიტრის და პერენტის თანხლებით 8 დეკემბერს გაემგზავრა ლონდონში.

მუსოლინს მოელიან პარიზში 8 დეკემბერს. ის არ დარჩება პარიზში და პირდაპირ გაემგზავრება ლონდონს.

სტამბოლიდერის სახამართლოში მიცემა.

ჰანნოვერი. 8 დეკ. საბერძნეთის რევკომმა გადასწყიტა ძისცეს სასამართლოში მცირე აზიის ყოფილი უმაღლესი კომისარი სტერგიადერი.

ოსმალეთში.

ბორდო. 8 დეკემბერი. ანგორის მთავრობამ გაუცხადა ოსმალეთის ქრისტიანების თემთა წარმომადგენლებს, რომ ყველა ქრისტიანები ისეთივე უფლებებით ისარგებლებენ, როგორითაც ოსმალები სარგებლობენ. მთავრობამ დაარწმუნა ქრისტიანები იმაში, რომ მათ მშვიდათ და უშიშრად შეუძლიათ ოსმალეთში დარჩენა. თემების წარმომადგენლებმა გაანაცხადეს, რომ ისინი სავსებით დაკმაყოფილებულნი არიან მთავრობის განცხადებით.

პარაუში მოსახდარ ინციდენტის შესახებ.

ბორდო. 8 დეკ. აქ მიღებულ ბერლინის გაზეთების მიხედვით არსებობს ისეთი შთაბეჭდილება, რომ გერმანიის მმართველი წრეები დაბრკოლებას ხედავენ ბავარიის შეურიგებელ პოზიციაში პარაუში მოსახდარ ინციდენტისადმი შესაძლებელია, რომ „კანცლერი კუნო პირადათ გადასცემს თავის მწუხარებას საფრანგეთის მთავრობას ამ ინციდენტის გამო.

ბორდო. 8 დეკ. „ტანის“ ცნობით, გერმანიის სახელმწიფოთა პრემიერები არ იწონებენ ბავარიის პოზიციას, მაგრამ როგორც სჩანს, მათაც არ მიაჩნიათ საჭიროდ მოახდარ ინციდენტის ანალიზურების გადახდა.

საკონტრიბუციო საკითხის გადაჭრის პროექტი

პარიზი. 8 დეკ. ბერლინში ამ ეამად ირჩევა ორი პროექტი საკონტრიბუციო საკითხის გადასაჭრელად. პირველი—შეთანხმება საფრანგეთთან, რომელსაც თან უნდა დაერთოს უცხოეთის და შინაური სესხები, რასაც უზრუნველყოფს გერმანიის მთავრობას თავისი მრეწველობით და მიწად მოქმედებით.

მეორე პროექტი—„საკონტრიბუციო ბანკის“ დაარსება ერთი მილიარდი მარკის კაპიტალით, რომელიც შეავსებს სახელმწიფო ბანკს, მთავრობას და მრეწველობას. ბანკის თავმჯდომარეთ იქნება ნეიტრალური სახელმწიფოს წარმომადგენელი, ხოლო გერმანიის წარმომადგენლები იქნებიან ბანკის გამგეობაში. ფინკი ფინანსებს მიაწოდებს წარმოებებს დანგრეულ ოლქების აღდგენისათვის, ანგარიშს გაუსწორებს გერმანიის მიმწოდებლებს ნატურით. მიწოდებისათვის ანგარიშს გაუსწორებს საფრანგეთის წარმოებებს დანგრეულ ოლქების აღდგენისათვის.

ახალი ამბები

— ბრმათა სკოლაში. პირველ დეკემბრისათვის ბრმათა სკოლაში ირიცხება 35 მოსწავლე, 18 ყმაწვილი (ვაჟი) და 17 ქალი. ეროვნების მიხედვით ქართველი 18, რუსი 2, სომეხი 10, ებერძენი 2, ებრაელი 2, და მუსლიმანი 1.

15 ოქტომბრიდან 2 დეკემბრამდე გაყიდულია ძაგრეულობის სახელოსნოში ბრმათა სკოლასთან ჩოთქები 9.720.000 მან. კალათები 465.000 მ. და სკამის საქსოის მასალა 400.000 მან. სულ 10.585.000 მან.

საანგარიშო წელში ავტომყოფობას მოსწავლეთა შორის არ ქონია ადგილი.

10 ნოემბერს სკოლა დათვალიერა შრომის დაცვის კომისიამ, რომელიც გაეცნო შენობას, სიწმინდეს, ბრმათა ბავშვების აღზრდას და სავსებით კმაყოფილი დარჩა.

პრესა

ბაზ. „პროლეტარულ ბრძოლაში“ შემდეგი წერილია მოთავსებული მასწავლებლების მდგომარეობის შესახებ.

ცოტა რამ ჩვენს მასწავლებლობაზე.

„სახალხო მასწავლებლის და მისი კულტურულ ეკონომიური ვითარების საკითხი სერიოზულად უნდა დაისვას პარტიის წინაშე. მატერიალურად და სულიერად—მეთხოვრი, ნახევრად შიშველი—სახალხო მასწავლებელი უძლურია აღზარდოს ახალი თაობა ისე, როგორაც ეს აუცილებელია საბჭოთა რესპუბლიკისათვის“.

ი. იაკოვლევი. მოსკოვ. „პრავდა“ № 263.

აღზარდისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს ჩვენი მასწავლებლობის დუხჭირი და, მეტსაც ვიტყვი, ანუტანელი მატერიალური მდგომარეობა. არც ერთი რეჟიმის დროს მასწავლებელთა, და ნაშეტნ-ვად სახალხო მასწავლებელთა მა-

უცხოეთი

ირლანდიის სახელმწიფო

ბორდო. 8 დეკ. ინგლისის მეფემ ხელი მოაწერა დეკლარაციაზე, რომელიც თავისუფალ სახელმწიფოდ აღიარებს ირლანდიას სატახტო ქალაქით ლუბლინით. ინგლისის წარმომადგენელი ხელერი, რომელიც დანიშნულია ირლანდიის გენერალ-გუბერნატორად, უკვე შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

რომი. 8 დეკ. ჯე ვალერამ მოათავსა გაზეთში წერილი, რომელშიც მოითხოვს პლებისციტს ირლანდიისათვის მმართველ-გამგეობის ფორმის თავისუფალ არჩევნებისათვის.

ხაბერძნეთში.

რომი. 8 დეკ. ბონარ ლოუმ თემთა პალატაში შეკითხვის საპასუხოდ ინგლისის მთავრობის საბერძნეთის საქმეებში ჩარევის შესახებ განაცხადა, რომ მთავრობა ამ ეამად იხილავს საკითხს ათენიდან სამაგო მისიის გაწვევისა და დიპლომატიურ ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ.

— **მთავარი ჯამზღვევი კასა.** განაწილება 1.500.000.000 მან., რომელიც მიღებულია მთავარ ჯამზღვევ კასის მიერ ფინანსთა კომისარიატისაგან სახელმწიფო კმაყოფაზე არსებულ დაწესებულებათა მაგიერ ნოემბრის განმავლობაში.

№№	დასახელება პროვინციის კასებისა.	ჯამი
1	ახალციხე	22.000.000
2	ახალქალაქი	22.000.000
3	ბათუმი	45.000.000
4	ბორჩალო	30.000.000
5	გორი	67.000.000
6	ზუგდიდი	75.000.000
7	ქუთაისი	135 000.000
8	ოზურგეთი	75 000 000
9	ფოთი	15.000.000
10	სიღნაღი	45 000 000
11	სენაკი	75.000.000
12	თელავი	37.000.000
13	თიანეთი	22.000.000
14	შორაპანი	67.000.000
15	სამხ. ოსეთი	22.000.000
16	ბორჯომი	6.000.000
17	ტყიბული	7.000.000
18	ჭიათურა	4.000.000
19	ხაშური	7.000.000
20	სამტრედია	700.0000
21	ლეჩხუმი	30.000.000
22	დუშეთი	30.000.000
23	რაჭა	30 000.000
24	სვანეთი	8.000.000
25	ხონი	10 000 000
26	ლანჩხუთი	8 000.000
27	ამბროლაური	8.000 000
	სულ . . .	896.400.000

ფულის მიღების დროს საჭირო წარმოდგენა საფინანსო ანგარიშებისა 1 დეკემბრამდე.

— **პრემიალური ჯილდო ტრამვაის მუშებისათვის.** აღმასკომის პრეზიდიუმის მიერ პრინციპიალურად მიღებული იქნა პრემიალური ჯილდოს შემოღება ტრამვაის მომუშავეთათვის, რისი პროექტიც დასამტკიცებლად გადაეცა საფინანსო განყოფილებას—გადასამუშავებლად და შესასწორებლად.

— **შრომისა და ტვირთ-ზიდვის გამტარებელი კომისიის მუშაობა.** აღნიშნული კომისიის მუშაობა თანახმა ამხ. ნასყიდაშვილის მოხსენებისა ამ საკითხზე, მოწონებულ იქნა და კომისიას მადლობა გამოუცხადა; კომისია დღიდან გაუქმებულად ითვლება და მისი ფუნქციები გადაეცა საფინანსო განყოფილებას. გადასახადთა ბიუროს ეძლევ აგენტს მიეცა ორ-ორი ბილიონი მანეთი ჯილდოთ, შრომისა და ტვირთ-ზიდვის გადასახადის აკრეფაზე მუშაობისათვის.

— **ქალაქის მუზეუმის ხარჯთაღრიცხვა.** დამტკიცებული იქნა აღმასკომის პრეზიდიუმის მიერ ქალაქის მუზეუმის ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშით 41 მილიონი და 306 ათასი მანეთი.

— **ხამბართველოს განყოფილების გამგის თანაშემწის დამტკიცება.** ხამბართველოს განყოფილების გამგის თანაშემწეთ ადმინისტრატიულ ნაწილში დანიშნულია ამხ. ჯორბენაძე.

— **განათლების მუშაკთა ხაგდში.** ორშაბათს, დეკემბრის 11, განათლების მუშაკთა სახლში შესდგება ქართული ენის სექციის მორიგი სხდომა—რომელზედაც მოხდება კამათის გაგრძელება ქ-ნ რუსუდან ნიკოლაძის მოხსენების „მონტესორის მეთოდის“ გარშემო.

— **საბინაო განყოფ. გამგის თანაშემწის დამტკიცება.** საბინაო განყოფილების თანამშრომელი ამხ. წულაძე დანიშნულია განყოფილების გამგის თანაშემწეთ.

— **ადმინისტრატიული პუნქტი ხაბურთალოში.** აღმასკომის პრეზიდიუმის მიერ პრინციპიალურად მიღებულია ხაბურთალოზე ადმინისტრატიული პუნქტის დაარსება.

— **გადასახადი ამერიკულ კომიტეტს.** ამერიკული კომიტეტისათვის საბჭოთა სახლებში ბინის ქირის, წყლის და ელექტრონის ენერგიის გადასახადის გადახდევინების შესახებ, პრეზიდიუმის მიერ დადგენილ იქნა: 1-ლ დეკემბრამდე ყველა ვალებიდან გადახდეს 50 პროცენტი, 1-ლ დეკემბრიდან კი გადახდეს წყლის და ელექტრონის გადასახადი, ნიხრის თანახმად, ბინის ქირა-კი პირადი შეთანხმებით. თანახმად ხელშეკრულებისა. კომუნალურ განყოფილებას ევალება კომიტეტისათვის, ანგარიშებისა და პირობების სასწრაფო წარდგენა.

— **დახმარება მგზახან ირიდიონ ევდოშვილის ქვრივს.** განსვენებულ ირიდიონ ევდოშვილის ქვრივს, მისი სახელის სპეციალურ ფონდთან, აღმასკომის მიერ მიეცა ერთდროული დახმარების სახით 5 ბილიონი მანეთი.

— **კამოს ყოფილი სახლის ქალაქის აღმასკომზე გადაცემა.** ქალაქის აღმასკომმა მიიღო სანქცია ქალაქ გორში არსებული ამხ. კამოს ყოფილი სახლი, ნაჩუქრობის საბუთის შედგენით და დამტკიცებით. სახლის შესაკეთებლად გადადებულია, თანახმად ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა 250 მილიონი მანეთი.

— **გერმანელთა ბალის გაფართოება ხერკეზიშვილის ქუჩაზე.** აღმასკომის დადგენილებით აღნიშნული ბალი გაფართოებულ იქნება საბჭოთა ქუჩამდე და დაერქვა ჯაფარიძის სახელობის ბალი, ხოლო ამხ. ჯაფარიძის ბიუსტი გადატანილ იქნება ჩერქეზიშვილის ქუჩიდან აღნიშნულ ბაღში.

პარტიული ცხოვრება

სამტრედია. პარტიულ მუშაობისათვის სამტრედიაში ყოველთვის ძველათ და ეხლაც იყო ერთნაირი ხალისი და სურვილიც, მაგრამ ამ გარემოებას წინ ედობება და დღესაც ედობება დამაბრკოლებელი მიზეზები. ერთხანს სრულიათ მიდუნებული იყო პარტიული მუშაობა, მხოლოდ ამ ბოლო ხანებში მუშაობის გაცხოველებისათვის უკვე დაიწყო სამზადისი, როგორც უფროს ისე ახალგაზრდა ამხანაგებში; პარასკევს 1 დეკემბერს მოწვეული იქმნა ორგანიზაციის კრება სადაც გარჩეული იქმნა სხვა და სხვა ორგანიზაციული საკითხები, აგრეთვე ამორჩეულ იქმნა 2 დეკემბრისათვის მთავარი კომიტეტის მიერ მოწვეულ გაფართოებულ სხდომისათვის დელეგატათ ამხ. სოლომონ ლორთქიფანიძე. გაფართოებულ სხდომაზე დასმულ საკითხზე იქონიეს მსჯელობა დავალება მისცეს ამორჩეულ ამხანაგს.

ამხანაგი.

პარტიაში

დღეს საღამოს 7 საათზე ცენტრალურ კლუბში (ლორის-მელიქოვის ქუჩა № 1) დანიშნული ახალგაზრდათა კავშირის და სტუდენტთა კომიტეტის შეერთებული სხდომა. ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

ევგენი ზემმელი

22 ნოემბერს ტფილისის ფარმაცევტებმა მიწას მიაბარეს, კიდევ ერთი თავიანთი წევრი ევგენი ზემმელი.

ევგენი ზემმელი როგორც ფარმაცევტი-ორგანიზატორი, უჩვეულო პიროვნება იყო. მან თითქმის არაფრისაგან შექმნა ტფილისში დიდი კულტურული საქმე და რთგორც კულტურულ ერის შვილი ყოველთვის მაცადინარი იყო მისი აფთიაქი სათანადო სიმაღლეზე ყოფილიყო.

მართლაც ტფილისში ზემმელის აფთიაქი ერთ საუკეთესო აფთიაქად და ფარმაცევტიულ პრაქტიკის სკოლად ითვლებოდა.

ამ აფთიაქში აღიზარდა მთელი თაობა ქართველ ფარმაცევტებისა.

თვით საქმიანობის მოყვარული, იგი მტერი იყო ყოველი უსაქმურისა და ყოველთვის სცდილობდა მისი მოწაფე-ფარმაცევტები საკმაო პრაქტიკული ცოდნა—მეცნიერებით აღჭურვილიყვნენ.

სასიამოვნო ხანახავი იყო, როდესაც 60 წელს გადაცილებული მოხუცი ახალგაზრდული სიმკვირცხლით დაცუნცულებდა თავის უზარმაზარ აფთიაქში. მისი ხელი ყოველივე საგანს უნდა შეხებოდა და თავის სიცოცხლე დაუღალავ შრომაში გაატარა.

მიუხედავად ამისა, ევგენი ზემმელი უკიდურეს გაჭირვების განცდაში გარდაიცვალა. მისმა შექმნილმა დიდმა საქმემ და მუდმივმა შრომამ მას იმდენი არა მისცა, რომ ჭირის დღისათვის რაიმე გადაენახა და სულ წელიწად ნახევრის მისმა უსაქმოდ ყოფნამ უკიდურეს დგომარეობაში დაალევინა სული.

ეს გარემოება ბევრს რამეს ლაპარაკობს, როგორც ევგენი ზემმელის პიროვნების, ისე ამ დარგში მოღვაწეთა და თვით სააფთიაქო დაწესებულებათა შესახებ.

ყოველთვის მზად მყოფი მოძმის თანაგრძნობისათვის ტფილისას ფარმაცევტობა, ცოტას გამოკლებით, ღღესაც ერთსულოვნად თავის ადგილზე იყვნენ თავიანთი წვლილით და მგრძნობიარე პატიჟისცემით მიცვალებულისადმი.

საუკუნო იყოს ხსენება შენი დაუღალავო მუშაკო და პატივცემულო მასწავლებელო.

შენი მოწაფეთაგანი კაკო.

ერთიანი ქართული ენის შესახებ

გაზ. „ტრიბუნა“-ს №-352 №-ში დაბეჭდილი იყო წერილი სათაურით: „ქართული ენის უფლებისათვის“—უდავოა ამ წერილის შინაარსის სამართლიანი ღირებული, რომ ქართული ენა იურიდიულათ ცნობილია საბჭოთა მთავრობის მიერ სახელმწიფო ენად და მიუხედავთ ამისა იგი მაინც შევიწროობას განიცდიდ.

— საქართველოში ქართული ენის სახელმწიფო ენად ცნობას ფორმალური მნიშვნელობა თუ აქვს ისეთებისათვის, რომლებიც შეპყრობილნი არიან „ოდესაც ერეთის ცარიზმის რუსიფიკატორულ იდეოლოგიით... რაც შეეხება საქართველოში ქართული ენის სახელმწიფოდ ცნობას—ეს ისეთივე ბუნებრივი სინამდვილეა, როგორც ვაზის ნაყოფის გამოხატველი ყურძენი, რასაც არც მტერი ცდება სჭეთია და არც მისი ფორმალურათ ცნობა, როგორც ფაქტის სინამდვილისა.

ჩვენ არ შეგვაძლო ეკონომიკის დინამიკისათვის გვერდი აგვეხვია, რომ ხელნაული საკითხებიც გადაგვეშალეთია. ეს გაცილებით მეტ დროს მოითხოვს. ვიტყვით მხოლოდ, როგორც ფიგურალურ სურათის შესახებ, ორიოდე სიტყვას კომპარტიის ისტორიიდან. 1917 წელში ბოლოდ კანტი-კუნტად თუ გაიგონებდ თ სიტყვა „კომუნისტი“. (მაგ. წელში მოსკოვში მასლოვის წიგნი გამოვიდა, ომის შედეგების შესახებ. ის სწერს ბოლშევიკებზე, როგორც მუჭა სადღეთების დიქტატურის ძალაზე, ხოლო ფარანგი მწერალი მარლ რიეე *) ლენინს და ზინოვიევს ნათლავს ვილგელმ მეორეს ფარულ აგენტებათ. 1922 წ. გამოვიდა იმავე მასლოვის წიგნი „მსოფლიოს სოციალური პრობლემის“ შესახებ და ეხლა იგი, როგორც ერთი წითელი პროფესორთაგანი, სრულიად სხვა ჰანგებით ლაპარაკობს.

მარლ რიეე კი განა გერმანიის აგენტებად დასახავს ლენინს და ზინოვიევს, როცა საფრანგეთში კომპარტია ერთი უძლიერესი პარტიათაგანია? ხსენებულ პარტიას ჩვენ ვიღებთ მხოლოდ როგორც ილუსტრაციას. ღღეს ევროპის ყველა დიდ პარლამენტში კომპარტიას თავისი დეპუტატები ჰყავს და უდიდესი ძალაა საგრთაშორისო მუშათა მოძრაობაში.

მთავარი მნიშვნელობა აქვს ისევ თვით რუსეთს. რა უნდა ვსთქვათ რუსეთის შესახებ? რუსეთი ღღეს ის აღარ არის რაც იყო 21 წელში, 21 წელში ის არ იყო რაც არის 20 წელს. მრეწველობის დარგებში საშვალოთ რუსეთის განვითარება უფრის შემდეგს. ომის წინა დროებასთან შედარებით მრეწველობა უფრიდა სულ რუსეთის 36 გუბერნიაში:

1920 წ.	16%
1921 „	22%
1922 „	38%

სოფლის მეურნეობაში 22 წელმა მთელი რევოლიუციი მოახდინა. უკანასკნელ ცნობების მიხედვით ამ ეამად რუსეთს აქვს უცხოეთში გასაყიდათ 400 მილიონი ფუთი ხორბლეული, როცა იგივე რუსეთი ომამდე საშვალოდ ჰყიდდა 650 ფუთ მილიონ ხორბლეულს. ასეთი ამბავი რუსეთის სარევოლიუციო პერიოდმა სრულებით არ იცის.

სხვა ცნობები, შედარებით წვრილმანები რუსეთის ცხოვრებიდან, მათ შესახებ ლაპარაკი—მიგვაჩნია ზედმეტათ. ყველა მასალებიდან ჩვენ შემდეგი მთავარი დასკვნა გამოგვყავს: კაპიტალისტურ ევროპას ორი შეშბერვაში აწყვია ყოველის მხრივ—რუსეთი, რომელიც მეთაურობს რევოლიუციონურ ძვრებს და ამერიკა, რომელიც ახალ კაპიტალისტურ ძვრების ლიდერია. საშინლად დაქანცულმა, დარბეულმა და დავალებულებულმა ევროპამ ვერ მოხპო რუსეთი, ხოლო საშინლად გაამწვავა ურთიერთობა ამერიკასთან. იგი ევროპა ბუდეა ქაოსის, სამინისტროების კრიზისის, ყოველგვარ პოლიტიკურ აცვლილებების. დაავათმყოფებულმა ეკონომიურმა ორგანიზმა არ იცის ნორმალური ტემპერატურა; ამიტომაა ეკონომიურ კრიზისებს მოსდევს მთავრობის კრიზისები, ე. ი. პოლიტიკურ პარტიათა კრიზისები და ავათმყოფურ ნიადაგზე ერთ ადგილს ფაშიზმს ეძენება ადგილი, მეორე ადგილს ორგანიზაციას, მესამე ადგილს ისევ ახირებულ რევოლიუციას, როგორიც ჩვენ საბერძნეთში დავინახეთ. ამ პოლიტიკურ მოძრაობას უფრო სულაა მობრძავ სხეულის ნიშანი აქვს. მთელი ეს მოძრაობა ეკონომიური დეკადანსის დაჩქარებაა, საბოლოო ბრძოლის გაწყვეტაა, ხო-

---

*) იხ. „ტრიბუნა“ № 364.

— **ზედმეტი არ იქნება** ამ საკითხს დავუკავშირეთ საქართველოში ერთიანი ქართული ენის ინსტიტუტის და ენის ვითარების სრულიად ერთიანი ქართული ლიტერატურული ენა, რომელიც ყველა ქართველისთვის და არა ქართველებისთვის ადვილათ გასაგები, შესასწავლი და სალაპარაკო იქნება და ერთიელ და სამუდამოთ განთავისუფლდება პროვინციალურ ეარგონისაგან...

ამ საკითხის რადიკალური გადაჭრა მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ჩამოყალიბებული ერთიანი ქართული ენა საქართველოს ერთ-სახლობას მისცემს და ადარ გენება ადგილი აპრეფლებულ სახელებს, როგორც არის გურული, შგრგალი, სვანი, თუში, ფშაველი და სხვა, ერთი ქვეყნის შვილთა სახელების ასეთი აპრეფლება და ასეთ აპრეფლებასთან შეხამებული აპრეფლებული ლაპარაკი, რასაკვირველია, ჩვენთვის, როგორც პატარა ერისთვის პოლიტიკურადაც არა სასურველ მნიშვნელობის მოვლენად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ნეტარ ბსენებულ ვოსტორგოფილსთანა მსგავსი პირები დღესაც ბევრი მოიძოებენ, რომლებიც განზრახ, თუ უცოდინარობით ასეთი აპრეფლების მიხედვით ზემოთ აღნიშნულ ქართველებს სხვა ტომის შვილებით ხსნიან და წყალს გაუმღვრევენ...

ვერ წარმოიდგენთ, როგორი ჰიდალია ღღეს ქართველ მოხეტიალეთა შორის (ალბათ სხვაგანაც) ქ. ტფილისის დაწესებულებებში ქართული ენის ცოდნის გადამეტების ნიადაგზე. ამ გზაზე უბედური კორიანტელია აყენებული და სენთქვა გებუთვა... იწერება ქალაქი ბავ-ად—იბეჭდება თეორად დაბეჭდილი სწორდება—ხელახლად იბეჭდება—ისევ სწორდება (მ-ე)ესია ი პუდრიტსია—პუდრიტსია ი მ-ე)ტსია). ერთი ამბავ-ცებს მე როგორც ბავშვრა სწორიო—მეორე ამბავ-ცებს—არა, ჩვენი დაწერილი უფრო სწორიაო... არ არის საერთო კრიტერია—სახლობი, რომელიც დაიცავდა ქართული მართლწერის და ენის სისწორეს, რათა ასეთ დავას და ენის ცოდნის წაგლეჯ-წამოგლეჯას ადგილი არ ჰქონოდა... მაგ. ხშირათ გაიგონებთ და წაიკითხავთ: მივედი, წავედი, მოვედი ასევთ გამოთქმანი ლოდინს უფრო გამოხატავენ, ყოდრე—მოვედის, წავედის და მივედის აზრს. ავიღოთ თუნდაც სიტყვა საშვალება-საშუალების მაგივრათ. სიტყვა საშვალების ძირი არის შვა, რაც ლ.ბადეს ნიშნავ—სიტყვა საშუალების ძირი არის შუა—როდესაც ითქმის, რომ მე ცულის საშუალებით გავეჭერი შეშა, უნდა გავითვალისწინოთ სამი მოვლენა—მე, ცული და შეშა—მე და შეშის შორის შუა ადგილი ეკუთვნის ცულს—აქედან გამოდის, რომ ცულის საშუალებით მოვეჭერი და არა საშვალებით, რაც სრულებით ვერ გამოხატავს სიტყვა საშუალების ნიშნეულობას. სიტყვამ მოიტანა და მინდა

ჩვენ ამ ბოლო ხანებში ევროპა ლიოს ევროპა მუდმივ პოლიტიკურ კრიზისების მორიგეში, რომ ამ გვარათ ფაქტიურ კოლონიალურ მდგომარეობაში ჩაგდოს იგი.

ევროპა კი ამ კრიზისის და ქაოსის სრული განსახიერებაა. 1921 წელში ჩვენ ვხედავდით ევროპაში, ოგრეთვე 22 წელს, სახელმწიფოთა კრებებს, რომელნიც კაპიტალიზმის ისტორიის არც ერთმა ეპოქამ არ იცის, თუმცა ჯერ არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური აქტი, რომელსაც რაიმე დამაკმაყოფილებელი შედეგი მოეტანოს. აიღეთ ნუსხა კონფერენციების 20 წლის განმავლობაში.

სან.-რემოსი	19 აპრილი	20 წ.
ხაისში	15 მაისი	„
ბულოჩის	21 ივნისი	„
ბრიუსელის	2 ივლისს	„
სპასი	5 „	„
ბრიუსელის	16 დეკემბერს	„
პარიზის	24 იანვარი	21 წ.
ლონდონის	1 მარტი	„
მეორე ლ.	29 აპრ.	5 მაისი
ვარშავიდენის შეთანხმება	6 ოქტომბერი.	

ამას დაუმატეთ კონფერენცია ვაშინგტონის, ჯაჯის, ჯენუას, ისევ პარიზის თათბირი, ლონდონის და თქვენ ნახავთ, რომ ეს პოლიტიკური გაწამაწია სამაგალითო მაჩვენებელია ევროპის ქაოტიურ კრიზისის.

წელიწადში მთელი 4 თვე თათბირებს უნდება.

ამ მოვედლოდით ისე გაგვიგრძელდა მოახსენება. მომენტის საკითხი მეტად სერიოზული პრობლემაა. ამ საჭირო ეკონომიურ მოვლენათა ანალიზის გვერდით განხილვა პოლიტიკურ პარტიათა მდგომარეობის, პროფკავშირების მოძრაობა, სპარლამენტი (ბოგრების განხილვა, უმუშევართა სურათი, სიძვრის ისტორია და სხვა.

---

*) Le dernier Romanof, 1918 წ.

ლენინ, ეკონომიურ ცხოვრებაში ეს მთელი კატასტროფაა. ამ კატასტროფისათვის ამერიკა სრულიად მოუმზადებელია, მისმა ისტორიამ არ იცის ასეთი კრიზისი ყოველივე ეს კი გამოწვეულია მთელი რიგი მიზეზებით. მე არ მაქვს დრო ეს შესანიშნავი თეორიული და პრაქტიკული მომენტი დაწვრილებით შევეფასო. მხოლოდ აღვნუსხავ ორ მთავარ მიზეზს, რომელმაც ეს გამოიწვია: 1) მყიდველობითი ენერგიის დაცემა ევროპის ხალხში და 2) გადასვლა თავდამცველ სადამოუნო სისტემაზე და ხეოოვნურათ შემცირებაზე იმპორტისა. ამ გვარათ გადაწყვეტილია ჩვენს წინაშე ახალი ეპოქა,—ეპოქა სასტიკი ეკონომიური ომების ამერიკის და ევროპის შორის.

ამ ეამად შემდეგი რეალური მდგომარეობაა: არ არის არც ერთი დარგი ეკონომიკის, რომელშიაც ამერიკას ესაჭიროებოდეს ევროპა. დაახლოვებით ასეთივე მდგომარეობა იქნება კანადაში, არგენტინაში, ავსტრალიაში. აზიაში განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობენ იაპონია და ამერიკა.

მოვლენათა მთელ კომფლიქსს რომ ვითვალისწინებთ ჩვენთვის აშკარაა შემდეგი: ევროპას არ შეუძლია აიტანოს ის ორი დიდი ტაღლა, რომელსაც ის ხედავს: 1) ერთის მხრივ ტაღლა რუსეთის რევოლიუციის, 2) მეორე მხრივ ტაღლა ამერიკულ კონკურენციის. თუ რუსეთი ჩერ-ს უშლის და სისტემატურათ ურთულებს ევროპას პოლიტიკურ მდგომარეობას, ამერიკა ცდილობს იყო ევროპა მუდმივ

---

*) იხ. „ტრიბუნა“ № 364.

მთავარი კომიტეტის გაფართოებული სხდომა

საერთაშორისო მდგომარეობა მოხსენება თედო ლლონტისა

(მოკლე ანგარიში)

რა მოხდა, რა შეიცვალა. რისთვის წარმოშვა ეკონომიურმა ჰარმონიამ ასეთი დისჰარმონია. ამის მიზეზი შემდეგია:

ომის შემდგომ ხანაში იწყება სასტიკი ეკონომიური ქიშპობა და ბრძოლა. ვინაიდგან ევროპა ომში არ არის ჩართული და მას სურს უკანვე დაიბრუნოს თავისი წინანდელი მდგომარეობა. თუ ამერიკას შემოქონდა ევროპაში 1920 წ. 10 მილ. ტონა ნახშირი 21 წელს შემოუტანია მხოლოდ 2,7 მილ. ტონა, არგენტინაში, ბრაზილიაში, ჩილეში, ურაგვაიში მას შემოქონდა 20 წელს 3,4 მილ. ტონა, 21 წ. კი—1,8 მილ. ტონა-1920 წ. ის იღებდა მსოფლიო ნახშირის 45 პროც. 21 წელში კი ინგლისური ნახშირი თვით ამერიკის ბაზარზედაც გამოჩნდა სადაც იყიდებოდა 1 დოლარით და 15 ცენტით იაფად ვიდრე ამერიკული ნახშირი. ვაპრობის მინისტრმა გუვერმა მყისვე დაიკლო რკინის გზის ტარიფი, ესე იგი აქ გაჩაღდა ჩვეულებრივი სასტიკი ეკონომიური ომი, რომელიც არასოდეს ყოფილა ასეთს დარგებში ამერიკას და ინგლისს შორის.

ჩვენ აქ სახელდახელოთ ავიღეთ ნახშირის მაგალითი, რომელსაც საჩვენებელი და კლასიკური ხასიათი აქვს. ასეა საერთოდ. ფოლადის წარმოება დაეცა 20 წელთან შედარებით 40-პროც. რკინინ გზის საერთო შემოსავალი 20 წ.-თან შედარებით შემცირდა 500 მილ. დოლარით, ხოლო მთელი საგარეო ვაჭრობა 48 პროც. ევროპაში საქონლის გატანა შემცირდა 45 პროც.

ამხანაგებო, ეკონომიურს ცხოვრებაში ეს მთელი კატასტროფაა. ამ კატასტროფისათვის ამერიკა სრულიად მოუმზადებელია, მისმა ისტორიამ არ იცის ასეთი კრიზისი ყოველივე ეს კი გამოწვეულია მთელი რიგი მიზეზებით. მე არ მაქვს დრო ეს შესანიშნავი თეორიული და პრაქტიკული მომენტი დაწვრილებით შევეფასო. მხოლოდ აღვნუსხავ ორ მთავარ მიზეზს, რომელმაც ეს გამოიწვია: 1) მყიდველობითი ენერგიის დაცემა ევროპის ხალხში და 2) გადასვლა თავდამცველ სადამოუნო სისტემაზე და ხეოოვნურათ შემცირებაზე იმპორტისა. ამ გვარათ გადაწყვეტილია ჩვენს წინაშე ახალი ეპოქა,—ეპოქა სასტიკი ეკონომიური ომების ამერიკის და ევროპის შორის.

ამ ეამად შემდეგი რეალური მდგომარეობაა: არ არის არც ერთი დარგი ეკონომიკის, რომელშიაც ამერიკას ესაჭიროებოდეს ევროპა. დაახლოვებით ასეთივე მდგომარეობა იქნება კანადაში, არგენტინაში, ავსტრალიაში. აზიაში განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობენ იაპონია და ამერიკა.

მოვლენათა მთელ კომფლიქსს რომ ვითვალისწინებთ ჩვენთვის აშკარაა შემდეგი: ევროპას არ შეუძლია აიტანოს ის ორი დიდი ტაღლა, რომელსაც ის ხედავს: 1) ერთის მხრივ ტაღლა რუსეთის რევოლიუციის, 2) მეორე მხრივ ტაღლა ამერიკულ კონკურენციის. თუ რუსეთი ჩერ-ს უშლის და სისტემატურათ ურთულებს ევროპას პოლიტიკურ მდგომარეობას, ამერიკა ცდილობს იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგახსენოთ ერთი რუსტიკანის პატრონის უბედური მდგომარეობა, სადაც მე ვსაფიდლობდი—შეკითხეთ: მეორე კერძოთი რა გაქვთ შეთქი? პასუხი—ტაფა გაბლავთ ბ—ნოვ... სიხტათ დავრჩა... შე, კაი კაცო, ეგეთხარი—ტაფებს, რომ ვქაფდე ჯავშნიანი გემის ადგილი მეგირგვინდა მეთქი ხმელეთზე... ოფრმე შემწვარი რაშ მისი გაგებით ტაფა ყოფილა...

— ნუ თუ ისევ დიდ ქვეყანაში, რომელიც არის რუსეთი, სადაც მთელ რიგ საუკუნოებით შემუშავებული და გარკვნებული რუსული მარილ-წყარო თავისი ალტ-იკრატკებით, რომლის უცოდინარი, ისტორიას ჩაბარებულ ტომს, სასწავლებლიდან და სამსახურიდან იდევნებოდ—დღეს საბჭოთა ხელისუფლებამ ერთი ხელის დაკვრით შესცვალა ახალი რუსული მარილწყარით და ახალ სწავლების მეთოდს დაუქვემდებარა, რომლის შესწავლა ყველა რუსისთვის სავალდებულოა და ჩვენ პატარა ქვეყანაში-კი გაძნელდა ერთიანი ქართული ენის და მართლწერის დამყარება?

— ჩემის აზრით ამ საკითხის ირგვლივ თავი უნდა მოიყარონ ქართული ენის კანონების მცოდნე პირებმა—გახსნან აკადემიური სხდომა, რომელზეც გამოიტანენ თავის უკანასკნელ დასკვნას, რაც ყველასათვის მისაღები და სავალდებულო იქნება... დაისტამბება სახელმძღვანელოები საქართველოში გასავრცელებლად..

— უნდა ვიმედოვნოთ, რომ საბჭოთა საქართველოს მთავრობა ქართველ ხალხის განათლებისმიერებისთვის ამ დიდ საქმის განხორციელებას ყოველმხრივ ხელს შეუწყობს და პროგრესისკენ სავალ გზას გაუთავრთოებს მომავალ თაობას.

ი. ტაბლიაშვილი.

ალფერის გამო

(მცირე შენიშვნა)

ხელ. ქალაქი მოსახლეობის აღწერა ფაქტიურად უკვე დასრულდა. ადრად სულ მალე შედეგებიც, გამოქვეყნდება.

უნდა ითქვას, რომ ამ აღწერის დასრულებით გაკეთდა ერთი ეროვნული ვინაი ხელმ, რომელიც შეეფილია საძირკველად დადგენა ქართულ სტატისტიკის და უკანასკნელი მომავლის აღმშენებლობას გაგვიადვილებს.

მე ამ წერილით არ მსურს ამ დიდი მნიშვნელოვანი საქმის მეცნიერულსა და თეორიულ მხარეს შევეხო, რადგანაც ვფიქრობ, ამ მხარეს სპეციალისტები, მასალები რომ ხელში ვქნებით, უკეთ გაიშუქებენ...

ამ მცირე წერილით მსურს მკითხველის ყურადღება მივაქციო საქალაქო აღწერების პრაქტიკულ მხარეს. რომელსაც ჩვენთვის ბევრის თქმა შეუძლია. ამ მხრივ მთავარი ის არის, რომ ასეთი სერიოზული საქმის შესრულება მოწმობს ჩვენს ნამდვილ აღმშენებლობით პერიოდს, რომელსაც ფაქტად სერიოზულსა და დიდმნიშვნელოვანი საქმეების მოგვარება უკვე შესაძლებელია...

დიდი იმედების მომცემია ის გარემოებაც, რომ ასეთი ხერიოზული საქმისათვის, როგორიც სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის აღწერა, გამოკვლევა ერის—ძალების ძებნა საჭირო არ ყოფილა და რომ ასეთი დიდი საქმისთვის საქართველოს სტატისტიკის ცენტრალ საამართველოს საკმაოდ მომზადებული ძალები ყოლია, რაც უეჭველად მასალების დროსეულად დამუშავების თავდებადაც უნდა ჩითვალოს.

მე, პირადად, ქ. ტფილისის მე-6 საადწერო რაიონში მომიხდა მუშაობა და უნდა აღვნიშნო, რომ თვით იმ ახალგაზრდობის ხალხთან დაახლოებასაც, რომელიც მათ ასწერდა უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ბევრმა მხოლოდ

ალბ. მას ერთი შედეგი შეიძლება მოჰყვეს—ევროპა იარხებებს ბურჟუაზიულ წყობილების ნიადაგზე, როგორც დიდ კულტურული კოლონია თანამედროვე ამერიკისა, ან ის იარხებებს როგორც სოციალისტური წყობილების სამშობლო, მაგრამ ევროპა-აზიის ხალხმწიფოებთან მჭიდროდ დაკავშირებული რა გზითაც მხოლოდ შეიძლება ამერიკის კონკურენციის ატანა.

ასეთია ჩვენი დაკვნები და დასკვნა მაგრამ რაკი ევროპის ხალხს კოლონიალური მდგომარეობა შეუძლებელია, ხოლო ევროპის კულტურის უპირატესობა და აქტივობა მარტო სოციალისტურ რესპუბლიკებში შეიძლება—ამიტომ ევროპის ობიექტური მსჯელობა მიაქცევს მას სოციალიზმისაკენ. ამისათვის არის რომ ამ ქვეყნად მთელი სიგრძე-სიგანით ვითარდება დიდი რევოლუციონური მოძრაობა საერთაშორისო მაშტაბში. ადვილად შესაძლებელია ეს პროცესი ხანგრძლივი და მძიმე შეიქმნეს, მაგრამ ომის შემდგომი ოთხი წლის ხანა ამ პროცესს აჩქარებს, და მას გვაჩვენებს.

აქედან ჩვენ გამოგვყავს შემდეგი ლოგიკური დასკვნა: საერთაშორისო რევოლიუციის ორიენტაცია არის ერთად ერთი სწორი ორიენტაცია. რუსეთი ამ ორიენტაციის ცენტრალური ფიგურაა. ამ ორიენტაციას ჩვენ. არა თუ ვერ მივაშორდებით, იგი კიდევ უფრო უნდა გაძლიერებოთ და მას მჭიდროთ დაუახლოვდეთ, რაიცა გმიანიებს ქართველ ხალხს სრულს ეროვნულ და სოციალურ თავისუფლებას.

თვითონ რუსეთი ამ ფრონტის განმტკიცების მუშაობაშია. საქართველოში და სხვაგან ბევრი იმას ფიქრობს, რომ რუსეთმა თავი გაანება საერთაშორისო რევოლიუციის საქმეს, ახალი ეკონომიური პოლიტიკა (ნეპი) მიიღო და

მხოლოდ თავის ძველ იმპერიულ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციების მოწყობა საერთაშორისო რევოლიუციის ფრონტისათვის იმდენად ახალი საქმეა, რომ ეს გაუგებრობა ჩვენთვის სრულიად გასაგებია.

ამ მხრივ მეტად საინტერესოა რუსეთის პოლიტიკური რაობის გამორკვევა, უკეთ, საბჭოთა წყობილების რეორგანიზაცია საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის სახით, როგორც მოგეხსენებათ, დღემდე არსებობდა ავტონომიური და საკავშირო რესპუბლიკები კონვენციურ საფუძველზე. საქართველო ამ უკანასკნელ სისტემით იყო დაკავშირებული რუსეთთან. ამ ერთად ეგრედ წოდებული „რ. ს. ფ. ს. რ." პირდაპირ ფედერაციის ნიადაგზე ეწყობა. ერთეულები, რომელიც შეადგენენ ამ ფედერაციას არის შემდეგი:

ოთხ. ვერს. მცხოვრები

ევროპიული რუსეთი	3,3 მილ.	66,4 მ.	
ყირიმი	0,03 „	0,7 „	
დონი და ჩრ. კავკ.	0,2 „	6,3 „	
ცენტრალური	9,4 „	9,2 „	
ყირგიზეთი	1,8 „	5,0 „	
ოურალსკი	1,2 „	7,2 „	
დალესტანი	0,03 „	0,7 „	
ადერბეიჯანი	0,07 „	2,0 „	
სომხეთი	0,03 „	1,2 „	
საქართველო	0,05 „	2,4 „	
ბელორუსეთი	0,05 „	1,6 „	
უკრაინა	0,4 „	21 „	

დანარჩენი რესპუბლიკები ფორმალურად არ ითვლებიან სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკებად. უკრაინის და ადერბეიჯანის პროექტის მიხედვით უნდა მოხდეს მთლიან ერთეულების შექმნა და გადიდება ტერიტორიულ ეთნიურ პრინციპის მიხედვით, რომ შედარებით თანაბარ ერთეულთაგან შეიქმნეს ერთ სიტემაზე აგებული საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაცია. კონსოლიდაცია არსებულ რესპუბლიკების მოვკვეთს დაახლოვებით შემდეგ სურათს:

ევროპიული რუსეთი —66.4 მილ. მკ.
ყირიმი, დონი, ჩრ. კავკ.
ცენტრალური
ყირგიზეთი
ოურალსკი
დალესტანი
ადერბეიჯანი
სომხეთი
საქართველო
ბელორუსეთი
უკრაინა

სასურ. კომისარ. საავჭრო მაღაზია

საერთოდ ყველა კოპერატივები და საზოგადოებრივი მნიშვნელობის საავჭროები იხსნებიან იმ მიზნით, რომ მან დახმარება გაუწიოს მშრომელ ხალხს მცხოვრებთა ხელოვნურ უმრავლესობას და მოსპოს კერძო ინიციატორობა ბაზარზე, გამოაცალოს ბატონობის საქე, მოუსპოს ხალხის ყველაფის საშვალება ბურჟუაზიას და ამით სახალხო დამხმარე საავჭროებით საშუალება მიეცეთ მშრომელ პატიოსან მუშაკთ შეიძინონ რაც მათ სჭირდებათ აუცილებელი საარსებოდ. სახალხო სასურსათო მაღაზია სწორედ ამავე მიზნით იყო გახსნილი, მით უმეტეს მას მოეპოვებოდა საკმაო კაპიტალი საჭიროებისათვის და კერძო ჭეაჭართა დასაცემად და ამას გარდა უშუალო კავშირი რუსეთის საბჭოთა ქარხნებთან და ევროპის ბაზართანაც—რომ უფრო იაფად შეეძინა საქონელი ამის შანსები ჰქონდა და აქვს მას. ყველა ამებისა გამო მოსალოდნელი იყო, რომ ის დასცემდა ბაზარზე კერძო მოვაჭრეთ, დაეარდებოდა ფასი საქონლისა, გაუწევდა რა კონკურენციას კერკო კაპიტალისტ მოვაჭრეთ, რითაც დიდ დახმარებას გაუწევდა ფართო მასას—მშრომელ ხალხს. ეს მოლოდინი და მასზე დაკისრებული ვალდებულება პირნათლად შეასრულა სახ. სას. კომის. მაღაზიამ პირველ ხანებში, სადაც 25-პროც.—30-პროცენტით ნაკლები ღირდა საქონელი ვიდრე ბაზარზე, ამას ემიუმატოთ კიდევ 10-პროც. დაკლება პროფკავშირთა წევრთათვის ასე, რომ მისი დახმარება და მნიშვნელობა ძალზედ დიდი იყო, რამაც ხალხი მიიზიდა მის წინ რომლებიც ქებით და მადლობით ,იხსენიებდნენ საბჭოთა მთავრობას ასეთ სახალხო მნიშვნელოვან დახმარებისათვის.

მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც ხალხი ძალზე შეეჩვია და მის წინ რამოდენიმე ათეულ პირების

ხელმწიფოებრივი ორგანიზაციების მოწყობა საერთაშორისო რევოლიუციის ფრონტისათვის იმდენად ახალი საქმეა, რომ ეს გაუგებრობა ჩვენთვის სრულიად გასაგებია.

ამ მხრივ მეტად საინტერესოა რუსეთის პოლიტიკური რაობის გამორკვევა, უკეთ, საბჭოთა წყობილების რეორგანიზაცია საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის სახით, როგორც მოგეხსენებათ, დღემდე არსებობდა ავტონომიური და საკავშირო რესპუბლიკები კონვენციურ საფუძველზე. საქართველო ამ უკანასკნელ სისტემით იყო დაკავშირებული რუსეთთან. ამ ერთად ეგრედ წოდებული „რ. ს. ფ. ს. რ." პირდაპირ ფედერაციის ნიადაგზე ეწყობა. ერთეულები, რომელიც შეადგენენ ამ ფედერაციას არის შემდეგი:

ოთხ. ვერს. მცხოვრები

ევროპიული რუსეთი	3,3 მილ.	66,4 მ.	
ყირიმი	0,03 „	0,7 „	
დონი და ჩრ. კავკ.	0,2 „	6,3 „	
ცენტრალური	9,4 „	9,2 „	
ყირგიზეთი	1,8 „	5,0 „	
ოურალსკი	1,2 „	7,2 „	
დალესტანი	0,03 „	0,7 „	
ადერბეიჯანი	0,07 „	2,0 „	
სომხეთი	0,03 „	1,2 „	
საქართველო	0,05 „	2,4 „	
ბელორუსეთი	0,05 „	1,6 „	
უკრაინა	0,4 „	21 „	

დანარჩენი რესპუბლიკები ფორმალურად არ ითვლებიან სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკებად. უკრაინის და ადერბეიჯანის პროექტის მიხედვით უნდა მოხდეს მთლიან ერთეულების შექმნა და გადიდება ტერიტორიულ ეთნიურ პრინციპის მიხედვით, რომ შედარებით თანაბარ ერთეულთაგან შეიქმნეს ერთ სიტემაზე აგებული საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაცია. კონსოლიდაცია არსებულ რესპუბლიკების მოვკვეთს დაახლოვებით შემდეგ სურათს:

ევროპიული რუსეთი —66.4 მილ. მკ.
ყირიმი, დონი, ჩრ. კავკ.
ცენტრალური
ყირგიზეთი
ოურალსკი
დალესტანი — 7,5 „ „
ციმბირი — 9,2 „ „
თურქესტანი — 7,2 „ „
ამიერ-კავკასია — 5.6 „ „
ყირგიზეთი — 5,0 „ „
უკრაინა — 26,0 „ „

შეექმნა ამ რესპუბლიკების ფედერაციისა, როგორც გაერთიანებულ საფინანსო და ეკონომიური სისტემისა, ტრანსპორტის, ტელეგრაფის და სადამოენო სისტემის, საბჭოთა უწყება და საგარეო პოლიტიკა მე მიმაჩნია არა თუ შესაძლებელად, პირიქით, ერთ-ერთ საავალდებულო ეროვნულობად იმ შეთხზევაში, თუ მართლა სერიოზულად ვფიქრობთ აქტიურ პოლიტიკის წარმოებაა საერთაშორისო მასშტაბით. ეს ეუბაზიულ-ნაციონალიზმის ნიადაგზე აგებულმა ევროპის სახელმწიფოებმა ვერ შესძლეს თვიანთი სახელმწიფოების გაერთიანება. ანტანტა ფიქციაა, განსაკუთრებით 30 აგვისტოს შემდეგ. სოციალისტურმა ეროვნულმა რესპუბლიკებმა მეტიდროა ფედერაციით უნდა ძალიანოს, რაც ბურჟუაზიამ ვერ შესძლო. ეს არის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაცია. ვინც ამ სისტემას უარყოფს უფრო იდეალურ სხვა სისტემისათვის მას არ უნდა დაავიწყდეს, რომ რევოლიუციონურ ქმნების დღვანდელი მდგომარეობა, მდგომარეობა ქაოსის და გამოურკვევლობის ხიფათში ჩაგდებს ყველა საბჭოთა რესპუბლიკებს და კარეის გაღეღებს ევროპის რეაქციას, რომელიც მოსპობს ძალიან დიდი ხნით საერთაშორისო იდეასაც და რევოლიუციის ყველა მონაპოვარს.

ამიტომ რუსეთში დაწყებული საფედერაციო კამპანია სერიოზული კამპანიაა ამ უკანასკნელ დროს და ამ კამპანიას ნამდვილი ფედერაციის პრინციპით მთელის ჩვენის ენერგიით უნდა დავეხმაროთ.

საფედერაციო მოძრაობას აქვს დიდი უარყოფითი მხარეებიც, მაგრამ ამ მომენტს დაწვრილებით აქ არ შევეხებით, ვინაიდან ეს საკითხი სპეციალურად არის დასმული მეორე მოხსენებაში, სადაც ყოველ მხრივ გავარკვევთ მას.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა. დღეს შაბათს, 9 დეკემბერს „ფაუსტი" და „ვალპურგის ღამე" მონაწილეობენ ეკანიშვილი, ლეონიკი, სამინინი, ქორცივაძე.

სახელმწ. სახლი. დღეს ზუმბალაშვილის სახელმწ. სახლში ქართული დრამატიული სტუდიის მიერ ფ. ბოგოლიუბოვის „ბოროტი" სალამო. პავლე ინგოროყვა წაიკითხავს „მოკლე მოსაზრებანი ბოროტ-ბოროტ ბოგოლიუბოვის ბოროტ-ბოროტ ბოროტ-ბოროტ ბოროტ-ბოროტ

ტისა და მთელი სცენა „მწუხვრის გულწრფელობა“ კომპოზიტორის მიერ დაწერილია პასტორალის სტილით, ამასთანავე მუსიკალური შინაარსიც ჩაიკოვსკის მიერ ნასესხებია მოცარტის უფერტიფარიდან. როგორ შეიძლება ასეთი თავისუფლად მოპყრობის, ასეთი დიბერალური (მეტი რომ არ ვსთქვათ) მოპყრობა ჩაიკოვსკის შემოქმედებისადმი. მართალია, მუსიკა მთლიანად დარჩ, მაგრამ თუ თვით მოცარტი უდგება 'XVIII საუკუნის დასასრულს, ეს კი სრული პარადოქსია, რომ მისი მუსიკა მიაკუთვნო ძველ ბერძნულ ცხოვრებას, როცა არავითარი გადგენაც არ ქონდათ ცეკვაზე. შემდეგ, ალექსანდრემ ეპოქის დიდებულის სახლში, სადაც სპარბობს პურიზმი დასაშვებია შიშველ ფაულნების ლა სატირების სცენაზე გამოშვება) ეს თუ ოდნავად მისადგები იყო ეკატერინეს მეფობის დროს, როცა დადგა იმ ეპოქის წესიერება და ხასიათი, ალექსანდრე I-ის ხანისათვის ეს უკვე - ანაქრონიზმია. მე არ ვიცი, ვის შოუვიდა თავში ასეთი დამახინჯება მოქ. ბოგოლიუბოვსა თუ ბალეტმეისტერ მოისეევს. თუ ბოგოლიუბოვს, მით უარესი, რადგან „ვისაც მეტი აქვს, იმას მეტიც მოეთხოვებოდეს“. ამასთანავე ცეკვა მეტად ერთფერთოვანია, სარეპანდა ლიდებული ფუსიკა (სურდინის ქვეშ) დაიკარგა, ხოლო მოქ. ლიტვინოვის (მთავარი ფეინის ხტუნია და ჯლონვა არ შეიძლება ცეკვათ ჩაითვალოს ეიდევ ფერთ უადგილია მისი სიმღერა ზღვაფოგორის პარტიაში. ჩინებულად არის დადგმული სცენა ყაზარმში პანაშვიდის სურათით (გერმანის ბოდვის გალიუცინაცია) და ქალ ბალტინ ფინის ლანგის გამოჩენით. კარგია გრაფ ნიას საწოლი ოთახიც. მისი სურათის მთავრის განათებით, ეს ორი სურათი მხატვრულია. სცენა ზამთრის არხით არ არის მოხერხებული. პეტროგრადში მართლაც არის ზამთრის არხი ხიდით, სადაც ვარდება ნევაში ლიზა. ასევე იყო დადგმული ძველადაც რა საჭირო იყო სიახლის შეტანა თითქო მოედნის, თითქო ოთახის სახით, სადაც მოსჩანს „პეტერბურგის მხარე“. გაცილებით ჯერთისი იყო ძველად, სცენა იყო ზამთრის არხი ტერმიტაჟის შენობა პეტრეს გალერეიდან. ყოველივე ეს თითქო ნატურით იყო გადაღებული და მაყურებელიც გადაყვანა ძველ პეტერბურგში. გასართობი სახელი კარგად და რეალურად არის დადგმული.

შესრულებლები: ლიზას პარტიას ასრულებდა მოქ. პეტლიაშ-ბერიოლიტი. ვოკალური გადმოცემა სათანადო სიმაღლეზეა. ჩინებულად, ნაზად ისმოდა მომღერლის ხმა. მაგრამ სცენური მხრით მსახიობი ნაკლებ ჩამოგადგა ლიზას პოეტიურ სახეს. გერმანი—მოქ. აგრონოვსკი. აქაც ვოკალური გადმოცემა კარგია, განსაკუთრებით ლირიული ადგილები. ისე არც გრიმითა და არც სცენიური გადმოცემით ვერ მოგვცა მანაკ გერმანის სახე. მოქ. აგრონოვსკი ჩინებულად მღერის არიოზოს „მაპატიე ღვთიერო არსებავ“ და სიფინალო არიას „რა ალარის ჩვენი ცხოვრება—თამაში“ კარგი არის ფერადოვნობა და მუსიკალია. მეტად მუსიკალურად შესრულა თავისი არია მოქ. კრიჟანოვსკიმ (თავადი ელეცკი) „მე თქვენ მიყვარხართ“ და დუეტი გერმანთან პირველ აქტში. მოქ. ივანა ჩინებული გრაფინია—სტილდადაცული, დამახასიათებელი. ფრანგულ რომანს „Le erdius de lui parla la nnit“ მოხელერალმა მოხდენილად და მუსიკალურად. ამას ხელს უწყობს ორკესტრის ბაგეგრული აკომპანიმენტი. ტიპიური გრაფ ტომსკია მოქ. გორელოვი—მუსიკალურადაც მღერის და დიკციაც ჩინებული აქვს.

პოლინა მოქ. ბოგრონკინა მოხდენილია გარეგნულად. მაგრამ მე მგონია, რომ ეს პარტია დაბალია მომღერლის ხმისათვის (ძახილი ლირიული mezzo soprano) ეს განსაკუთრებით ემჩნევა არიაში „ძვირფასო ამხანაგებო“ ს-დაც საჭირო დაბალი mezzo soprano. მხატვრულად ძლევდა აკომპანიმენტს მოქ. ივანე ფალიაში სორკესტრო ლამაზი ადგილების ასახვით.

ბ. ბებუთოვი.

ეკონომიური ცხოვრება

ტფილისის ბაზარი ნოემბრის განმავლობაში. ნოემბრის თვეში ტფილისი განთავისუფლდა სტაბილის ეკონომიურ ბატონობიდან და მეზობელ კავშირში შევიდა რ. ს. ფ. ს. რ. ბაზართან. ამას ხელი შეუწყო ამ.-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ახალმა საბაჟო პოლიტიკამ, რომელმაც შეამცირა უცხოეთის საქონლის იმპორტი და გაძღიერა რუსეთის საქონლის შემოტანა.

ნოემბერში ტფილისის ბაზარი დაიპყრო ყუბანის ფქვილმა, რომელმაც ძალიან შეამცირა მოთხოვნილება ამერიკულ ფქვილზე და აგრეთვე ფასები დასწია როგორც შემოტანილ, ისე ადგილობრივ ფქვილზე. რუსეთის გავლენა დაეტყო ერბოს ფასების დაცემასაც, რომელიც შემოტანილ იქნა რუსეთიდან. თვის ბოლოს ერბოს ფასმა ისევ აიწია რამოდენიმეთ, ათმანეთიან ოქროს კურსის აწევის გამო. ურყევად იყო კარტოფილის ფასი. ფიდად აიწია ბაკრის ფასმა, რომლის შემოტანა სტამბოლიდან შესუსტდა. ძალიან გაძვირდა ცეცილონის ჩაი და სახარონი. ფასები დაეცა ღვინოზე, რაც გამოწვეული არის მისი ექსპორტის შემცირებით რუსეთში.

მანუფაქტურის ფასები მკირეოდენად აიწია; უველაზე ჯფარო ნარმა გაძვირდა. ბაზარზე ეზრნეა რუსეთის საქონლის შემოსვლა.

საექსპორტო საქონლებიდან დიდი მოთხოვნილება იყო ყოველგვარ ნედლ მასალაზე, მაგრამ წინადადებები კი მცირე იყო. ფასები აიწია ჯაგარნი; აბრეშუმზე, ხარისა და კამეჩის ტყავებზე. ფასები დაეცა თხილზე; განმტკიცდა ბეწვეულობის ფასები.

დანარჩენ საქონლებიდან, ოქროს კურსის აწევის გამო, ფასები აიწია თამბაქომ, ადგილობრივ და მარსელის საპონმა და ასანთმა. უცვლელი იყო შეშისა და ნახშირის ფასები. აწეულია აგრეთვე ნავთის პროდუქტის ფასებიც.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 61.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

საქართველოს სახალხო ბანკის მიერ ვადაგასულ სესხისა და სხვა სააქტივო ოპერაციებით გაცემულ ვალის გადახდევინების წესის შესახებ.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო ბანკის გამგეობას უფლება მიეცეს გადაახდევინოს თავის კლიენტებს ყველა ვადაგასული ხესხი და სხვა სააქტივო ოპერაციით გაცემული ვალი თავისი შეხედულებით, ქართული ბონით ან ოქროთი, ვადის გახვლის დღის კურსით.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ორახელაშვილი.

ა./კ. ფედერაციის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოში. ბ. ბიბინეიშვილი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. ხალარიძე.

1922 წ. დეკემბრის „ნ“.

ტფილისი—სასახლე

შეცდომის გასწორება

გუშინდელ ნომერში „ბანკროტობა“ ლობელის წერილში - „ამაზეულია - ბევრი კორესპონდენტი „დეცენტრალიზაციური სახელმწიფოს“ ... „ინდივიდუალურ ძალთა განვითარების ხელსაყრელი მართველობის გამტკიცების, ადგილობრივ პირობებთან მმართველობის შეგუების“. უნდა იყოს „ცენტრალიზაციური სახელმწიფოს ... „ინდივიდუალურ ძალთა განვითარების“.. და სხ.

სწორია „პროპორციული წარმომადგენლობის დროს ჩვენ ვიღებთ არა ტენდენციურ სახელმწიფოს“... უნდა იყოს „არა დეცენტრალიზაციურ სახელმწიფოს, არამედ მის სუროგატს“.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

დვაკარგე სილარიბის მოწმობა მიღებული მეცხრე კომისარიატიდან მე სოფიო ივანეს ასულმა დავიდოვისამ ჩაითვალოს გაუქმებულათ.

№ 354

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ს. ს. ს. რესპუბლიკის განათ. კომისარიატისა

სახელმწიფო გამომცემლობა ამით აცხადებს რესპუბლიკის ყველა სასწავლებლების საყურადღებოდ, რომ სახელმწიფო გამომცემლობის წიგნის მაღაზიებში (რუსთაველის პროსპექტი №№ 9—11 და პლეხანოვის 3) მიღებულია გასასყიდათ შემდეგი სახელმძღვანელოები:

1. კიკვაძე—ჩვენი სკოლა მე 3 წ.
2. ჭუმბურიძე—თაიგული ბუნების-კარის მაგვარ.
3. შაფაქიძე—თვალსაჩინო გეომეტრია.
4. სახონოვი—ქიმიის სახელმძღვანელო ტექნიკუმებისათვის.
5. რაზმაძე—ინტეგრალური აღრიცხვის კურსი ნაწ. 1.
6. ოცხელი—ელემენტარული გეომეტრია.
7. ცაგარეიშვილის — გეოგრაფია 1 ნაწ.
8. ოცხელი—ელემენტარული ალგებრა 1 ნაწ.
9. ცაგარეიშვილის — გეოგრაფია 2 ნაწ.
10. რობაქიძის სამშობლოს აღწერა
11. ჯანელიძე—ფიზიკა ნაწ. 1.
12. ქვარიანი—საქართველოს ისტორია.
13 ხმალაძის—არითმეტიკული კრებული.
14. რუსკინ ლლოგი 2 ნაწ.
15. გუთანი.
16. გორგაძე—საქართველოს ძველი ისტორია.
17. ოცხელი და ნიკორაძე—ფიზიკა 2 ნაწ.
18. კირიონი და ყიფშიძე—სიტყვიერების თეორია.
19. კელენჯერიძე — სიტყვიერების თეორია.
20. კელენჯერიძე—ქართული ლიტ ისტორია.
21. დავ. დონდუა—ზოოლოგია.
22. გორგაძე — ახალი მწერლები 1 ნაწ.
23. გორგაძე— ახალი მწერლები 2 ნაწ.
24. შველაძე და სვანიძე—გერმანული სახელმძღვანელო.
25 ზალიეშვილი—ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია.
26 ჩხენკელი—ბუნება 2 ნაწ.
27. ხმალაძე—არითმეტიკული კრებული 3 ნაწ.
28. ხმალაძე—არითმეტიკული კრებული 1 ნაწ.
29 ჩიმაკაძე და შუბლაძე—არითმეტიკული კრებული 1 ნაწ.
30. ჩიმაკაძე და შუბლაძე—არითმეტიკული კრებული 2 ნაწ.
31. ჩიმაკაძე და შუბლაძე—არითმეტიკული კრებული 2 კლასისათვის
32. ბერიძე—ფოგარითმების ცხრილი.
33. ნიკოლაძე—საქართველოს ისტორია.
34 ჭავჭავაძე—ქართული ლიტერატურა.
35. ხუნდაძე—ქართული ლიტერატურა.
36. ხუნდაძე—ქართული გრამატიკა.
37 თორაძე—ფრანგული ენის სახელმძღვანელო მე 3—4 კლას.
38 ჯორჯიკია—ფრანგ. ენის სახელმძღ. მე-5 კლასისათვის
39 ნადი—გერმანული სახელმძღვ.
40 ჯორჯიკია—კარლ. მე-12 ისტ.
41 წერეთელი—ეკონომიოლოგია
42 ზუმბაძე—სახმო წესი კითხვის სწავლა
43 თორაძე—ბუსიკის ცხ ვრება
44 ბარათაშვილი—საქართვ ისტ
45 ქალაქული ნოტები
46. ხახანაშვილი—ქართული სიტ ყვიერების ისტორია
47 ბუზნაძე — ძველი ისტორია 2
48 ჩინჩალაძე—მოკლე ლათინური გრამატიკა
49. ალადაშვილი— არითმეტიკული სახელმძღვ 1 ნაწ.
50. ბაკაკი—ეიგ-ბრაკები
51. ნინაძე—ინგლისის ისტორია
52 ბარნოვი—თხზულებანი ტ. 1
53. ლალიონი—მოთხრობები
54. წერეთელი — კაკოლიკა ჩიკალიკა
55. რუსთაველი—ვეფხის ტყაოსანი
56. არაგვისპირელი—თხზულებანი
57. ლისაბერიძე—საგენიო მეცნიერება
58. წერეთელი—რუხი მგელი
59 ლონდუა—ჰელი და სითბო
60 შარაშიძე—მზის ამბავი
61 ზაზშინოვი—ხატვა-ხაზვის ელემენტარული კურსი.
62 დედა ენა 2 ნაწ.
63 წერეთელი—მსოფლიო ისტორია 1 ნაწ.
64 წერეთელი—მსოფლიო ისტორია 2 ნაწ.
65 წერეთელი—მსოფლიო ისტორია 3 ნაწ.
66 ალადიანი—მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო 2 ს.
67 ალადიანი—მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო 3
68 ზაპოშნიკოვი და ვიალკოვი—ალგებრული ამოცანათა კრებული
69 დათეშიძის — არითმეტიკული ამოცანათა კრებული 1 ნაწ.
70 დათეშიძის — არითმეტიკული ამოცანათა კრებული 2
71 კოსონოგოვი—ფიზიკა
72 ზედგინიძე—ახალი ქართული ანბანი
73 დავ. დონდუა—ჰელი, წყალი და დედა მიწა
74 დავ. დონდუა—ბოტანიკა
75 ჯავახიშვილი — საქართველოს მოკლე ისტორია
76 ხუციშვილისა—არითმეტიკული ამოცანათა კრებული
77 ნუცუბიძე—ფილოსოფიის შესავალი 1 ნაწ.
78 ნუცუბიძე—ლოგიკა
79 ნათიშვილი—ადამიანის ნორმალური ანატომია
80 კაკაბაძე—საქ. შემოკლ. ისტორ.
81 გვილისიანი და უზნაძის—ახალი ისტორია
82 ვარ. დონდუა—საშუალო საუკუნეთა ისტორია
83 წერეთელი—ალგებრული ამოცანათა კრებული 2 ნაწ.
84 ოცხელი—ქართული ქრისტომატია
85 ანდრ. რაზმაძის—ინტეგრალური ალრიცხვის კურსი ნაწ. 1

განუსაზღვრელი ინტეგრალები

მადაზიაში მოიპოვება მრავალი სახელმძღვანელოები რუსულ სკოლებისათვის. სკოლები და განათლების განყოფილებები, რომელნიც წიგნებს შეიძენენ ბითუმათ ეძლევა 5—30 პროც წიგნები ფას დაკლებით.

188 5—4

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲚᲝᲑᲘᲡ

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡ ᲤᲐᲠᲛᲐᲪᲔᲕᲢᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

გადავიდა ᲞᲐᲡᲐᲙᲔᲕᲘᲩᲘᲡ ᲥᲣᲩᲘᲓᲐᲜ ყოფილ კავკასიის საგადასახადო საქონლის საგაჭრო ამხანაგობის საწყობის შენობაში, ᲔᲛᲐᲜᲣᲚᲝᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲠᲝᲩᲔᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔᲨᲘ.

3—1 202

ქალაქ ტფილისში და მის მიდამოებში მყოფ ავტომობილის რეგისტრაციის შესახებ. ქალაქ ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის

ᲡᲐᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲝ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

27 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ 1922 Წ.

1. ქალაქ ტფილისში და მის მიდამოებში მყოფ ავტომობილის რიგდენობის გაძლოკვლევის მიზნით, მოხდეს ადრიცხვა ყველა, როგორც ჩვეულ მგზავლის, აგრეთვე ტვირთ ბნიდან ავტომობილებისა.

2. ვალდებულ ყველა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებათ, აგრეთვე სამხედრო უწყებას, კავკასიის ცალკე არმიის ნაწილების გამოუკლებრივ და კერძო პირთა, გამოგზავნონ თავიანთი ავტომობილები აღმასრულებელ კომიტეტის ეზოში (თავისუფლების მოედანი) დახუნულ დღეს და საათზე ალსარიცხავათ და სარეგისტრაციო მოწმობისა და ნომრის მისაღებად.

3. ალრიცხვას აწარმოებს კომისია, რომელიც ალრიცხვის დროს ადნიშნავს მატორის ძალას, ნომერს და მანქანის ფირმას.

4. ავტომობილი ის მეპატრონე ვალდებულია მიღებული ნომერი მიაკრას ავტომობილს როგორც უკან ისე წინ თვალსაჩინო ადგილას. სარეგისტრაციო და პირადობის მოწმობანი—კი თან უნდა ჰქონდეს შოფერს, რომელიც ვალდებულია ესენი წარუდგინოს აღმასრულებელ კომიტეტის აგენტს უკანასკნელის პირველ მოთხოვნილებისთანავე.

შენიშვნა: 1) დაბინდვის შემდეგ მანქანის ნომერი განათებული უნდა იქნას უკანა ფარანით.

შენიშვნა: 2) რეგისტრაციის რიგს, სამხედრო მაშინებისას და ოკას ნაწილებისა ადგენს ქალაქის კომენდანტი აღმასკომის წარმომადგენელთან ერთად.

5. ავტ. მობილები, რომელიც არ იქნებიან ალრიცხული ამისთვის დანიშნულ ვადაში და არ გქნებათ ნომერი და საალრიცხვო მოწმობა, ჩამოერთმევათ მეპატრონეთ მანამ მეპატრონეს არ გადახდება განსაზღვრული ჯარიმა.

6. თუ ავტომობილის მეპატრონეს დაეკარგა ნომერი და საალრიცხვო მოწმობა, ვალდებულია ეს გარემოება აცნობოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც მას აძლევს ახალ ნომერს და საალრიცხვო მოწმობის დუბლიკატს სათანადო ლიმენულებით გადახდის შემდეგ.

შენიშვნა: 1) ნომერისა და საალრიცხვო ბარათის ტაკარგვა უნდა გამოცხადდეს ოფიციალურ გაზეთში.

შენიშვნა: 2) ავტომობილების მეპატრონენი იხდიან თითეულ ცალ ნომერზე 70/ათ. მან. და მოწმობისათვის 10 ათ. მან.

7. ტფილისის ქალაქი მილიცია და აღმასკომის სავე შესაფერი აგენტები ვალდებულნი არიან რეგისტრაციაში გაუტარებელი ავტომობილების მოძრაობა ქალაქში არ დაუშვან და ასეთები თუ აღმოჩნდება დაკავონ და გაცამტვინონ აღმასკომის საბჭოთა ადგილას განყოფილებაში.

8. თუ ავტომობილი გადავიდა ერთი პირიდან მეორე პირის მფლობელობაში, როგორც პირველ ისე მეორე ახალი, სამხედრო დაწესებულებათა გამოუკლებლივ, ვალდებულნი არიან შეატყობინონ ეს გარემოება წარმოდგენილობით აღმასრულებელ კომიტეტს, შესაფერ წიგნებში გასატარებლად.

9. ავტომობილის ალრიცხვა დაიწყება ა/წ „ 11 „ დეკემბრიდან დილის 9 საათზე.

1, 2, 3 სამილიციო რაიონები. 11, 12, და 13 „ დეკემბრს.
4, 5, 6, და 7 „ „ 14, 15, 16 „
8, 9, 10, 11, და 12 „ „ 18, 19, 20 და 21 „

10. დანაშაულნი ამ საველდებულო დადგენილების შესასრულებლობაში დაჯარიმებულ იქნებიან 5,000,000 მან. და ჯარიმის გადახდამდე ჩამოერთმევათ ავტომობილი, რომელიც გადავა აღმასრულებელ კომიტეტის სარგებლობაში.

ქალაქ ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ლ. დუმბაძე.

ქალაქ ტფილისის და მისი მიდამოების კომენდანტი აბაშიძე.

საამქართველოს განყოფილების უფროსი პრეზიდიუმის წევრი თაქთაქიშვილი.

№ 200 3—3.

ტიპოგ. 1340 საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტერნის ქუჩ. № 2.